

უჩვეულო არტეფაქტები

დედამიწა მდიდარია ისტორიული ნაგებობებით და არტეფაქტებით. თითოეული მათგანი მეტყველებს ამა თუ იმ ცივილიზაციის კონკრეტული დროის შესახებ, აგვიღწერს მათ კულტურას და წარმოადგენს გვიქმნის მათი ხელობისა და ტექნოლოგიის შესახებ, მაგრამ არსებობს არტეფაქტები და ისტორიული ძეგლები რომლებიც არ ჯდებიან ოფიციალური მეცნიერების ჩარჩოში. მეცნიერები ვერ ხსნიან მათ წარმოშობას, ვერ თანხმდებიან მშენებლობისას გამოყენებულ ტექნოლოგიებზე, გამოაქვთ ვარაუდები, ზოგ არტეფაქტებს კი ყალბის სტატუსსაც აძლევენ.

ეგვიპტის პირამიდები ყველასთვის ცნობილი ძეგლებია, ისინი დღემდე იწვევს ჩვენს აღფრთოვანებას თავიანთი ზომებით, პარამეტრებით, მდებარეობით და ა.შ., მაგრამ ეგვიპტეში არის კიდევ ერთი ძეგლი, რომლის შექმნის ტექნოლოგია ბუნდოვანია, კერძოდ ოსირიონი აბიდოსში. "ოსირისის საფლავი", რომელიც იქვე მდებარე სეთის ტაძართან 8-17 მ-ის სიღრმეზე მდებარეობს, შედგება გრანიტის გიგანტური მონოლითებისგან, რომლებიც მილიმეტრის სიზუსტითაა ერთმანეთთან მიდგმული, თანაც შემკვრელის გარეშე. თითოეული მონოლითის დამუშავება უნაკლოა, მაგრამ ყველაზე გამოცეხელია მათი ფორმა. კერძოდ, ისინი ჯდებიან ერთმანეთში, როგორც ფაზლის ნაწილები. ნაგებობის კუთხეში ვხვდებით კუთხოვანი ფორმის ბლოკს. ამიტომ, გამოითქვა ვარაუდი, რომლის თანახმადაც მას შემდეგ, რაც მოზიდეს ქვები მათი საერთო ფორმა დიდად არ შეუცვლიათ, მხოლოდ ზედაპირი დაამუშავეს, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია, ვინაიდან ნაგებობის საპირისპირო კედლებზე არსებული ბლოკები ერთმანეთის სარკულ ანარეკლს წარმოადგენს. ასე რომ, მათ გაცნობიერებულად აძლევენ ასეთ ფორმას, რაც მეტყველებს საკმაოდ თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ვინაიდან, ალბათ დამეთანხმებით, რომ პრიმიტიული ხელსაწყოებით გრანიტის ლოდების ასე დამუშავება უბრალოდ შეუძლებელია. ფაქტები სულ უფრო და უფრო საინტერესო ხასიათს იღებს. სამხრეთ ამერიკაში, პერუში ვაწყდებით გრანიტის ბლოკების ზუსტად იგივე სახის დამუშავებას. მილიმეტრის სიზუსტით ერთმანეთთან მიდგმულ, იდეალური სისწორის მქონე გრანიტის ბლოკებს ვხვდებით საქსაიუამანში, ოლიანტაიტამბოში, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მ-ის სიმაღლეზე, მთებში მდებარეობს და ერთ-ერთი ყველაზე დიდი გრანიტის ბლოკებისგან შედგება სამხრეთ ამერიკაში. ასევე მაჩუ პიქჩუში, რომელიც პირდაპირ მთის მწვერვალზეა გაშენებული (საინტერესოა, რომ ამ მთას გარკვეული განათებისას ადამიანის სახის ფორმა აქვს), სადაც ვაწყდებით არა უბრალოდ მსგავს ქვის წყობას ეგვიპტურთან არამედ იდენტურსაც კი, რაც აჩენს დამატებით კითხვებს: იყო თუ არა კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროებს შორის ასობით და ათასობით წლის წინ და თუ იყო, მაშინ როგორ? ამ კითხვას პასუხი შეიძლება გასცეს შემდგომ მოვლენამ.

1956 წელს ნიუ იორკში გამოფინეს ინკების ოქროს ნაკეთობები,საიდანაც ზოგიერთი ექსპონანტი დაინტერესდნენ საავიაციო კომპანიის "Lockheed Martin" წარმომადგენლები,კერძოდ ე.წ "ოქროს ჩიტებით".საინტერესოა,რომ ეს ჩიტები ძალიან გვანან თანამედროვე თვითმფრინავებს,კერძოდ,კორპუსის ქვედა ნაწილში მდებარე დელტასებრი ფორმის ფრთებით და ვერტიკალური სტაბილიზატორით,რაც ბუნებაში არ გვხვდება,როგორც დღევანდელ დღეს არსებულ,ასევე გადაშენებულ ფრინველებს შორის."Lockheed Martin"-ში ფიგურები მოათავსეს აერო-დინამიურ მილში მათი საფრენი მახასიათებლების შესასწავლად და აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი იდეალურადაა კონსტრუირებული,განსაკუთრებით კი ზებგერითი ფრენებისთვის.ასევე დაამზადეს საცდელი მოდელი გაზრდილი მასშტაბით,დაუყენეს ძრავა და გაუშვეს. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.ათ წელიწადში ამავე კომპანიამ ექსპლუატაციაში შეიყვანა ზებგერით თვითმფრინავი SR-71 Blackbird. სტრატეგიული მზვერავი უნიკალური აერო დინამიკის და ძრავების წყალობით 3000 კმ-ს ანვითარებდა საათში.მან რეკორდი დაამყარა ფრენის სისწრაფით და სიმაღლით.მისი ფორმა ძალიან მოგვაგონებს ინკების ე.წ "ოქროს ჩიტებს",კერძოდ დელტასებრი ფრთებით.1981 წელს ამჯერად NASA ქმნის Space shuttle-ს.უნიკალური აერო დინამიკის წყალობით(კერძოდ ფართე დელტასებრი ფრთების წყალობით)ის კოსმოსიდან სპეციალურ აეროდრომზე ეშვება.ის თითქმის უბრალოდ იდენტურია ინკების თვითმფრინავისა.ზოგიერთ ფიგურას ფრთები საპირისპირო მხარეს აქვს მიმართული,კერძოდ წინ და არა უკან.1997 წელს რუსეთში პირველ ფრენას ახორციელებს Cy-47 Беркут,რომელსაც ფრთების სწორედ ასეთი კონფიგურაცია აქვს .ეს აღმოჩენა კი ადასტურებს კავშირის შესაძლებლობას აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროებს შორის, მეტიც მან მაგალითი მისცა თანამედროვე ავიაკონსტრუქტორებს.

ამ პარადოქსმა მეცნიერთა ნაწილი ორად გაყო.ნაწილი მიიჩნევს,რომ ეს არც მეტი,არც ნაკლები უცხოპლანეტელების ტექნოლოგიაა,რომლებიც ძველად სტუმრობდნენ დედამიწას და შესაძლოა გარკვეული წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში.მეორე ნაწილი ვარაუდობს,რომ ადრე დედამიწაზე არსებობდა განვითარებული ცივილიზაცია,რომელიც რაიმე კატასტროფამ გაანადგურა(მაგალითად წარღვნამ,რომელიც ბიბლიაშია აღწერილი), რის შემდეგაც კაცობრიობა დეგრადირდა. საფრენ აპარატებს აღწერს ძველი ინდური ეპოსები მაჰაბჰარატა და ვიმანიკაშასტრა.აქ საუბარია ვიმანებზე, რომლებითაც დაფრინავდნენ ღმერთები და იბრძოდნენ კიდევ მათით,ასევე დაწვრილებით აღწერილია მათი ტექნიკური მხარე.ასევე წიგნში ვხვდებით რაღაც იარაღის აღწერას,რომლის გამოყენებისას წარმოიქმნებოდა სიკაშკაშე როგორც 10 000 მზე ზენიტში. ილუპებოდა ყველაფერი ცოცხალი,ხოლო გადარჩენილ ადამიანებს აღენიშნებოდათ თმების და ფრჩხილების ცვენა,წყალი იწამლებოდა და გამოუსადეგი ხდებოდა დასალევად.ამ იარაღს "მთელი სამყაროს ძალა" ჰქონდა,რაც გამოაოგნებლად

გავს ბირთვული იარაღის გამოყენებას და მის შემდგომ პროცესებს!რის ჭეშმარიტებასაც ადასტურებს შემდგომი ფაქტი.

1922 წელს დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ძველი ქალაქის ნანგრევები,რომელსაც უწოდეს მოჰენჯო-დარო-მკვდართა მთა.5000 წლის წინ ეს იყო ქალაქი აუზებით,წყალგაყვანილობით და საკანალიზაციო სისტემით,რომელიც წარმოადგენდა ჰარაპის ცივილიზაციის ცენტრს.გათხრებისას იქ აღმოაჩინეს გამლღვალი ქვები,რომლებიც წარმოუდგენლად მაღალმა ტემპერატურამ შუშად აქცია.მეცნიერებმა დაადასტურეს ეს და გამოიტანეს დასკვნა,რომ ტემპერატურა აქ 1500 გრადუსს აღწევდა!ასეთი ტემპერატურის მიღება ღია ცის ქვეშ კი შეუძლებელია,ამიტომ გამოითქვა ვარაუდი, რომლის თანახმადაც აქ ატომური აფეთქება მოხდა!ამას ადასტურებს ბევრი ფაქტი:პირველ რიგში აღმოჩენილია ეპიცენტრი,რომლის დიამეტრი დაახლოებით 200 მ-ია,ამ ადგილზე ყველაფერი კრისტალიზირებულია,ნაპოვნია ცალი მხრიდან შემომლღვალი ქვები,რაც აფეთქების მიმართულებას უჩვენებს. გადამწყვეტ ფაქტს წარმოადგენს ადამიანის 27 სრულიად შემონახული ჩონჩხი,რომელნიც ჯერ კიდევ 20-იან წლებში იპოვეს.ისინი მიმოფანტულები იყვნენ ქალაქის ქუჩებში,თითქოს რაღაცამ უეცრად მოუღოო ბოლო და თან ეს რაღაცა ციდან მოვიდა ვინაიდან ჩონჩხებს ხელები თითქოს სახეზე აქვთ მიფარებული,თანაც რადიაცია მათზე 10-ჯერ და ზოგ შემთხვევაში ბევრად მეტჯერაც აღემატება ნორმას.12 წლიანი კვლევის შემდეგ მეცნიერები წარმოუდგენელ დასკვნას აკეთებენ იმის შესახებ,რომ ეს ქალაქი ათასობით წლის წინ ბირთვული თავდასხმის შედეგად განადგურდა!XX ს-ში ერთ-ერთი ფიზიკოსი,რომელიც ამზადებდა ატომურ ბომბს ამერიკაში,კერძოდ კი რობერტ ოპენგეიმერი, სწავლობდა ინდურ ეპოსს და ერთ-ერთი ატომური გამოცდისას მან ციტატაც კი მოიყვანა მაჰაბჰარატადან,სადაც აღწერილია ისეთი სიკაშაშე აფეთქებისას როგორცაა 10 000 მზე ზენიტში.

ეს ყოველივე არ ჯდება ჩვენს ჩვეულ წარმოდგენებში,რის გამოც წამყვანი მეცნიერები,რომელთაც უკავიათ ბერკეტები და რომლებზეცაა დამოკიდებული თუ რა დაიწერება ისტორიის წიგნებში,უკომენტაროდ ტოვებენ ამ მართლაც რომ გამოგონებელ ფაქტებს,ზოგს კი ყალბის სტატუსსაც აძლევენ,ვინაიდან ისინი უბრალოდ წარმოუდგენლად სენსაციურ ფაქტებზე მეტყველებდნენ,რომელთა შესახებ სწორედ ახლა მოგახსენებთ.

1944 წელს,ცენტრალურ მექსიკაში,აკამბაროში,კერძოდ მთა ელ ტოროს ფერდობზე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანელი მკვლევარი ვალდემარ ჯულსრუდი.შედეგად მიწიდან ამოიღეს საკმაოდ კარგად შემონახული თიხის ფიგურები.აქ ვხვდებით ადამიანთა სხვადასხვა რასების და რაღაც ცხოველების გამოსახულებებს.აკამბაროს სამეცნიერო წრეებში სერიოზულად ალაპარაკდნენ იმის შესახებ,რომ ამ აღმოჩენამ შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს წარმოდგენა ადამიანის ევოლუციის შესახებ...საქმე კი იმაშია,რომ ფიგურები გამოსახვენ, არც მეტი, არც ნაკლები,

დინოზავრებს, რომლებიც ადამიანის გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. შესრულების დონე საკმაოდ რეალისტურია, თითოეული დინოზავრი შესრულებულია მოძრაობაში, იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ავტორი მათ ნატურიდან ძერწავდა. ვალდემარ ჯულსრუდის ამ კოლექციაში ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ რეალურად არსებადი დინოზავრების ფიგურები: იგუანოდონი, სპინოზავრი, გრძელკისრიანი დინოზავრები. საინტერესოა, რომ მრავალი ამ გრძელკისრიანთაგანი შესრულებულნი არიან ზურგზე სამკუთხა ფირფიტებით, ხოლო პალეონტოლოგების მონაცემებით ამ დინოზავრებს არ ქონდათ მსგავსი ფირფიტები. ამას მოსაზრებას კი იყენებდნენ იმის დასამტკიცებლად რომ კოლექცია ყალბია. 90-იან წლებში ეს დასკვნა გაბათილდა, ვინაიდან აღმოაჩინეს, რომ გრძელკისრიანი დინოზავრებს მართლაც ჰქონდათ სამკუთხა ფირფიტები. ასევე დაადგინეს რომ ეს დინოზავრები დგებოდნენ უკანა ფეხებზე რათა ხის მაღალ ტოტებს შემწვდარიყვნენ, ფიგურები კი ამასაც გამოსახავდნენ! რაც უბრალოდ ხაზს უსვამს კოლექციის უტყუარობას! კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ კოლექცია არ წარმოადგენს ყალბს არის მათი რაოდენობა ათობით ათასი, ვინაიდან თუ კი ვინმე გადაწყვეტს შექმნას კუსტარულად ასეთი რაოდენობის ქანდაკებები, მცირე ქარხანა დასჭირდება, თანაც ნუ დავივიწყებთ იმას, რომ საქმე გვაქვს 40-იან წლებთან. იმ დროისათვის საზოგადოებამ, მითუმეტეს გლეხებმა არაფერი იცოდნენ დინოზავრების შესახებ. ვინაიდან მაშინ არ არსებობდა დოკუმენტური ფილმები და ენციკლოპედიები დინოზავრების ფერად-ფერადი გამოსახულებებით.

მსგავს ვითარებას ვაწყდებით დოქტორ ჰავიერ კაბრერასთან... მდინარე იკის არხში აღმოაჩინეს გრავირებული ქვები. ეს გრავირებული ქვები უწინ ნახსენები ფიგურების მსგავსად გამოსახვენ ადამიანების და დინოზავრების თანაცხოვრებას, სრულიად უნიკალურია კონტინენტების ძველი განლაგების გამოსახვა ქვებზე. ეს კოლექციაც ასევე ყალბის სტატუსს ატარებს.

დედამიწაზე ამათ გარდა, კიდევ უამრავი ძველი და არტეფაქტია, რომლებიც საკმაოდ თამამ ნაბიჯებს დგამენ ოფიციალური მეცნიერების წინააღმდეგ და რომლებზეც მე ვრცლად აღარ ვისუბრებ. ისინი გვეხმარებიან დავინახოთ რეალური ისტორია, ხოლო ვალდემარ ჯულსრუდი, ჰავიერ კაბრერა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ანდრეი ჟუკოვი, რომელიც ხშირად მოგზაურობს დედამიწის სხვადასვა წერტილში და გვაწვდის ინფორმაციას ისეთი არტეფაქტების შესახებ, როგორებიცაა: კაბრერას და ჯულსრუდის კოლექციები, ბაალბეკის გიგანტური მონოლითები დასავლეთ აზიაში, რომლებიც ყველაზე დიდები არიან დედამიწის ზურგზე, მათგან ყველაზე დიდი კი 1000 ტონაზე მეტს იწონის, რაც ყოველგვარ ლოგიკას ცდება თუ ვინ და როგორ დაამზადა ასეთი ისპალინები... ასევე ანგარიშგასაწევია ბამიანის ბუდას კოლოსალური ძეგლები, რომელთაგან ყველაზე დიდი 54 მეტრი იყო სიმაღლეში და პირდაპირ სალ კლდეში იყო გამოკვეთილი, მათი ხილვა ჯერ კიდევ 2001 წლამდე შესაძლებელი იყო ავღანეთში, ბამიანში, ხოლო შემდეგ ისინი თალიბებმა

ააფეთქეს ორკვირიანი შეუჩერებელი სროლებისა და აფეთქებების შემდეგ, ხოლო ცივილიზებულმა მსოფლიომ ვერაფერი გააკეთა მათ შესაჩერებლად ან არაფერი...